ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1204047

ნომერი: AR1200673

თარიღი : 28.02.2014

გაცემის თარიღი : 03.04.2014

გაცნობის თარიღი : 04.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ახუნდოვი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლია სვანიძე პ/ნ 33001002550
- საბურთალოს ქ. 30 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შპს გლორია კოდი: 404379338

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N3/ახუნდოვის ქ. N4–ში მდებარე შენობის ბოლო სართულზე შუშის მოაჯირის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ურბანული მემკვიდრეობის სექციის, მიერ დადებითი შეფასება მიეცა (05.03.2014წლის N02/08-1350 წერილი) შუშის მოაჯირის მოწყობას. თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება საჩრდილობლების კონსტრუქციის მოწყობაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დააზუსტოთ თქვენი მოთხოვნა და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია (მოთხოვნის ტექსტი და საპროექტო ფოტომონტაჟი ერთმანეთის შესაბამისი უნდა იყოს).

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საჭიროა არსებული მდგომარეობის ფოტოზე მითითებული იქნეს მოაჯირის სიმაღლე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნის ტექსტის დაზუსტების, შესაბამისი საპროექტო ფოტომონტაჟის წარმოდგენისა და მითითებული ხარვეზის გამოსწორების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.